

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ

(არ ექვემდებარება დამტკიცებას საკრებულოს მიერ)

(პროგრამული ბიუჯეტის დანართი)

სამტრედია

2026

(ათასი ლარი)

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,750.7	0.0	8,750.7	9,846.6	9,643.7	10,129.2
02 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	4,126.7	0.0	4,126.7	4,635.7	5,185.2	5,285.2
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,742.3	0.0	2,742.3	2,430.0	2,150.0	2,720.0
02 02 01	ბინათმშენებლობა	1,305.9	0.0	1,305.9	1,200.0	1,000.0	1,500.0
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	70.0	0.0	70.0	100.0	100.0	120.0
02 02 03	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,366.4	0.0	1,366.4	1,130.0	1,050.0	1,100.0
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,571.7	0.0	1,571.7	2,470.9	1,998.5	1,814.0
02 03 01	საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	14.0	0.0	14.0	14.0	14.0	14.0
02 03 03	სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	1,557.7	0.0	1,557.7	2,456.9	1,984.5	1,800.0
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	310.0	0.0	310.0	310.0	310.0	310.0

გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება - (02 01)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ტროტუარები საჭიროებს განახლებას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქალაქის იერსახეს და ქვეითთა გადაადგილების კომფორტულ გარემოს. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალსათულიანი ბინების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრეშოვანი გზებით სარგებლობა, გზის

	საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას. ზამთრის სეზონის პერიოდში ასევე აუცილებელი ხდება მაღალმთიანი სოფლების შიდა საავტომობილო გზებზე და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე თოვლის საფარის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც გამოიყენება მძიმე ტექნიკა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგირები, ცხაურები და ხიდ-ბოგირები. **პროგრამის მიზანია** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის შექმნილი და მოწესრიგებული თანაბრად ხელმისაწვდომი, სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული სანიაღვრე არხები და სახიდე გადასასვლელები. ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბა-ზისო 2026 წელი**	**მიზნო-ბრივი 2027 წელი**	**მიზნო-ბრივი 2028 წელი**	**მიზნო-ბრივი 2029 წელი**	**მიზნო-ბრივი 2030 წელი**	**ცდომი-ლების ალბა-თობა**	**შესაძლო რისკები**
რეაბილიტირებული (ასფალტ-ბეტონი; ბეტონი) გზების საერთო სიგრძის მაჩვენებელი	35კმ-მდე	40 კმ-მდე	55-კმ-მდე	60 კმ-მდე	65 კმ-მდე	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილ-სინდისიერი დამოკიდებუ-ლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუს-რულებლობა. 2026-2027 წლებში კილომეტრაჟის შემცირება გამოწვეულია ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე წყლისა და კანალიზაციის სამუშაოების გამო
რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების საერთო სიგრძის მაჩვენებელი	500 გრძ.მ	1374გრძ.მ	1500 გრძ.მ	1500 გრძ.მ	1600 გრძ.მ	1-3%	პროექტის ხარვეზი, შეუმდგარი ტენდერი
მოხრეშილი გზების საერთო სიგრძე	5 კმ-მდე	მაჩვენებელის შენარჩუნება	მაჩვენებელის შენარჩუნება	მაჩვენებელის შენარჩუნება	მაჩვენებელის შენარჩუნება	5%	
რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების სერთო რაოდენობა	3 (ერთ)	2 (ერთ)	2 (ერთ)	2 (ერთ)	3 (ერთ)	1(ერთ)	პროექტის ხარვეზი, შეუმდგარი ტენდერი

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (02 02)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**

პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; გამწვანების ზოლების მოწყობა; ხეებისა და მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა–პატრონობა. მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება. გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, წყალმომარაგებისა და გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების მოვლა, დასუფთავება. **პროგრამის მიზანია** მოსახლეობა იცხოვრებს გარე და შიდა კომუნიკაციებით უზრუნველყოფილ კორპუსებში, თავიდან იქნება აცილებული დატბორვის საშიშროება. საცხოვრებელ სახლებამდე მოწესრიგებული და უსაფრთხო გზით მისვლა, გამართული სანიაღვრე სისტემა. ქალაქის იერსახის შეცვლა და ფეხითმოსიარულეთა კომფორტული გადაადგილება.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	**• რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები;** **• რეაბილიტირებული წყლის სისტემები.** **. განათებული მუნიციპალიტეტი**

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბა-ზისო 2026 წელი**	**მიზნ-ობრივი 2027 წელი**	**მიზნ-ობრივი 2028 წელი**	**მიზნ-ობრივი 2029 წელი**	**მიზნ-ობრივი 2030 წელი**	**ცდო მი-ლების ალბა-თობა**	**შესაძლო რისკები**
მრავალსართულიანი კორპუსებში მოწესრიგებული სახურავების რაოდენობა	3 (ერთ)	2 (ერთ)	2 (ერთ)	2 (ერთ)	3 (ერთ)	1	სატენდერო სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკ-რულებით გათვალის-წინებული პირობების შეუს-რულებლობა
მრავალსართულიანი კორპუსებში მოწესრიგებული ფასადების რაოდენობა	6	7	7	5	5	2	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებული პირობების შეუს-რულებლობა
რეაბილიტირებული წყლის სისტემების საერთო სიგრძე	1,5 კმ	2 კმ	2 კმ	2კმ	2 კმ	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებული პირობების შეუს-

							რულებლობა
გარე განათებაზე გაწეული რეაბილიტაცია-ექსპლუატაციის საერთო სიგრძე	1000 გრძ.მ	1000გრძ.მ	600გრძ.მ	600 გრძ.მ	700 გრძ.მ	5%	მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

ბინათმშენებლობა (02 02 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერსა და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ფასადები სიძველის გამო გამოსულია მწყობრიდან, საიდანაც ხშირ შემთხვევაში ცვივა ბათქაში და იქმნება საფრთხე.პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა–პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის. **პროგრამის მიზანია** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსების თხოვნის საფუძველზე მობინადრეთათვის გაუმჯობესებული, თანაბარხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ამხანაგობების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა მობინადრისათვის თანაბრადხელმისაწვდომი, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

შეფასების ინდიკატორები

შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბა-ზისო 2026 წელი	მიზნო ბრივი 2027 წელი	მიზნო ბრივი 2028 წელი	მიზნო ბრივი 2029 წელი	მიზნო-ბრივი 2030 წელი	ცდომი ლების ალბა-თობა	შესაძლო რისკები
მრავალსართულიანი კორპუსებში მოწესრიგებული სახურავების რაოდენობა	3	5	5	5	5	1	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკ-რულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
მრავალსართულიანი კორპუსებში მოწესრიგებული ფასადების რაოდენობა	6	7	7	5	5	2	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდე-ბულება, ხელშეკრულებით გათვა-ლისწინებული პირობების შეუს-რულებლობა

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (02 02 02)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება.ასევე განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია;მოწყობა-მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას. **პროგრამის მიზანია** მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა. რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უწყვეტ წყლის მიწოდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
რეაბილიტირებული წყლის სისტემების საერთო სიგრძე	1,5 კმ	2 კმ	2 კმ	2კმ	2 კმ	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (02 02 03)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**
პროგრამის აღწერა და მიზანი	გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენური ფაქტორების შემცირება. დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად მოძრაობისათვის აუცილებელია ქალაქის განათება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. ახალი სანათების შეძენა მონტაჟი. **პროგრამის მიზანია** მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო.
პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება
შეფასების ინდიკატორები	

შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბა-ზისო 2026 წელი	მიზნო ბრივი 2027 წელი	მიზნო ბრივი 2028 წელი	მიზნო ბრივი 2029 წელი	მიზნო ბრივი 2030 წელი	ცდომი ლების ალბა-თობა	შესაძლო რისკები
გარე განათებაზე გაწეული რეაბილიტაცია-ექსპლუატაციიის საერთო სიგრძე	1000 გრძ.მ	1000გრ ძ.მ	600გრძ .მ	600 გრძ.მ	700 გრძ.მ	5%	მომწოდებლის არაკეთილსინდი-სიერი დამოკიდებულება, ხელშეკ-რულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (02 03)	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბაზისო 2026 წელი	მიზნო ბრივი 2027 წელი	მიზნო-ბრივი 2028 წელი	მიზნო-ბრივი 2029 წელი	მიზნო-ბრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა	4	5	6	5	5	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
მოწყობილი ატრაქციონების, ფანჩატურებისა და ტრენაჟორების რაოდენობა	2	3	3	3	3	1	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
მომზადებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების რაოდენობა (ერთეული)	75	75	75	75	75	5%	შესყიდვის პროცედურების დაყოვნება

საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (02 03 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და დასარეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადების მომსახურების შესყიდვას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება უძრავი ქონების სრულყოფილი აზომვა, საკადასტრო რუკების/ნახაზების მომზადება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფა. მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-რეგისტრაცია, უძრავი ქონების ბაზის სრულყოფა, მუნიციპალური აქტივების ეფექტური მართვა, საპრივატიზებო/სარგებლობაში გადასაცემი ობიექტების მომზადება
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება სრულად არის აზომილი, დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მომზადებულია ეფექტური მართვისა თუ საპრივატიზებო პროცესებისათვის.

შეფასების ინდიკატორები

შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
მომზადებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების რაოდენობა (ერთეული)	75	75	75	75	75	5%	შესყიდვის პროცედურების დაყოვნება

სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (02 03 03)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, სკამები, გაზონები. ზოგი მათგანი საჭიროებს შეღობვით სამუშაოებს და განათების მოწყობას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იპოდრომის ტერიტორია საჭიროებს კეთილმოწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები და გაზონები მოითხოვს გამწვანების სამუშაოების ჩატარებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელები სიძველის გამო ამორტიზირებულია და საჭიროებს განახლებას. აღნიშნული პროექტით შეიქმნება ახალი დადასვენებელი კერები და გაუმჯობესდება იერსახე. **პროგრამის მიზანია** მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში მეტი კეთილმოწყობილი სკვერებით და მოსაცდელები

შეფასების ინდიკატორები

შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა	2	2	2	2	2	1	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

მოწყობილი ატრაქციონების, ფანჩატურებისა და ტრენაჟორების რაოდენობა	2	3	3	3	3	1	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

სოფლის მეურნეობის განვითარება (02 05)	
პროგრამის განმახორც,სამსახური	**ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.**
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში სასათბურე მეურნეობების შექმნისა და გაფართოების ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება მცირე და საშუალო ფერმერებისათვის 100 კვ.მ, 200 კვ.მ და 300 კვ.მ ფართობის, მრავალშრიანი სასათბურე ფირითა და წვეთოვანი სარწყავი სისტემით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობების მოწყობის თანადაფინანსება. ბენეფიციართა შერჩევა მოხდება ღია კონკურსის წესით, ხოლო შესყიდვა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ასევე პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურეობს ჩატარებას და საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრას. ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი ფართობების შემოღობვას. მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბოსტნეულის წარმოების ზრდა. სოფლის მოსახლეობის თვითდასაქმება და ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების დაცვა და კონტროლი
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	1. მუნიციპალიტეტში გაიზრდება მოქმედი სასათბურე მეურნეობების რაოდენობა, გაუმჯობესდება ადგილობრივი ბოსტნეულის წარმოება-მიწოდების მაჩვენებლები და შეიქმნება სოფლის მოსახლეობის თვითდასაქმებისა და შემოსავლების ზრდის პირობები. 2. ასევე გაუმჯობესდება მუნიციპალური ქონების დაცვის, განკარგვის და მართვის ხარისხი. 3. 3. მოსახლეობა მიიღებს მარტივად გადასაადგილებელ ტერიოტირიას საკუთარ სავარგულებამდე და დაცული იქნებიან მსხვილფეხა პირუტყვისგან.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
სათბურები რაოდენობა		10				5%	10
ბენეფიციარების რაოდენობა		10				5%	10
სათბურებში წარმოებული ბოსტნეული კულტურების სავარაუდო წლიური მოცულობა (ტონა)		15				10%	15
გაწეული საქსპერტო მომსახურება						2%	
სახნავი ფართობების შემოღობვა და სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა							

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან;

მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა - გაწმენდა ბალახისა და ბუჩქნარისგან.

(ათასი ლარი)

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	**5,108.4**	**0.0**	**5,108.4**	**4,964.7**	**4,964.7**	**4,964.7**
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	**3,374.0**	**0.0**	**3,374.0**	**3,374.0**	**3,374.0**	**3,374.0**
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	**1,090.7**	**0.0**	**1,090.7**	**1,090.7**	**1,090.7**	**1,090.7**
03 03	დასუფთავება	**320.0**	**0.0**	**320.0**	**250.0**	**250.0**	**250.0**
03 04	კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**323.7**	**0.0**	**323.7**	**250.0**	**250.0**	**250.0**

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (03 01)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება
პროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეთიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	2027 წელს ეკოლოგიურად და ესთეთიკურად სუფთა ქალაქი. ღამით განათებული ქალაქი, რომელიც კომფორტს შეუქმნის ღამის საათებში გადაადგილებულ მოსახლეობას წყალგამტარუნარიანი არხები, რომელიც გამოიწვევს ქალაქის მოსახლეობის კმაყოფილებას.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
ღამით განათებული ქალაქის წერტილების რაოდენობა	14 000 განათებული წერტილი	15 000 განათებული წერტილი	15 000 განათებული წერტილი	15 000 განათებული წერტილი	15 000 განათებული წერტილი	2%	
დანალექისგან გაწმენდილი არხების	31000 კბმ	33000 კბმ	33000 კბმ	33000 კბმ	33000 კბმ	2%	

საერთო სიგრძე							
გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობა	2200კბმ	2400კბმ	2400კბმ	2400კბმ	2400კბმ		

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (03 02)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია, შეკეთება და ოპერირება, საჭიროების შემთხვევაში ახალი ქსელის მონტაჟი
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკების კეთილმოწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების შესრულება და სანერგე მეურნეობის აღდგენა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პანთეონისა და სასაფლაოების კეთილმოწყობა;

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
კეთილმოწყობილი პარკები;	ქალაქი-59 523კვ.მ სოფლებში 109753კვ.მ	ქალაქი-59 523კვ.მ სოფლებში 109753კვ.მ	ქალაქი-59 523კვ.მ სოფლებში 109753კვ.მ	ქალაქი-59 523კვ.მ სოფლებში 109753კვ.მ	ქალაქი-59 523კვ.მ სოფლებში 109753კვ.მ		
დარგული ნარგავების რაოდენობა	538 ძირი მარადმწვანე ხე-ნარგავები	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და გაზრდა	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და გაზრდა	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და გაზრდა	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და გაზრდა		
სანერგე მეურნეობის კეთილმოწყობა;	სანერგე მეურნეობის შექმნა,	სანერგე მეურნეობის შექმნა	სანერგე მეურნეობის შექმნა	სანერგე მეურნეობის შექმნა	სანერგე მეურნეობის შექმნა,		
კეთილმოწყობილი პანთეონი და სასაფლაოები;	1 პანთეონი, 12 სასაფლაო	1 პანთეონი 12 სასაფლაო	1 პანთეონი, 12 სასაფლაო	1 პანთეონი, 12 სასაფლაო	1 პანთეონი, 12 სასაფლაო		

დასუფთავება (03 03)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით სპეციალიზებული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვას. აღნიშნული მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანისთვის, ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების დასუფთავებისთვის საჭირო სპეცტექნიკის შეძენას. ტექნიკური ბაზის განახლება და გაძლიერება უზრუნველყოფს დასუფთავების სამუშაოების დროულად და შეუფერხებლად შესრულებას, მომსახურების არეალის გაფართოებასა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მუნიციპალური სერვისის მიწოდებას. მიზანი: დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება და

	მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	განახლებული და გაძლიერებული ტექნიკური ბაზა, დასუფთავების სამუშაოების ეფექტიანობის გაზრდა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
შეძენილი და ექსპლუატაციაში მიღებული სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობა (ერთეული);	2	2	2	2	2	1	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 04)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა მუნიციპალური სამსახურების სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალიზებული ტექნიკის განთავსებისთვის განკუთვნილი საქმიანი ეზოს მშენებლობას, არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და სათანადო საექსპლუატაციო პირობების უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა, საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოვლა-პატრონობა, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო განთავსებას, ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და მუნიციპალური სერვისების ეფექტიან მართვას. პროგრამის მიზანია კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა მუნიციპალური სამსახურების შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათ ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალიზებული ტექნიკის განთავსებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურული პირობების შექმნა. აღნიშნული გულისხმობს საქმიანი ეზოს მშენებლობას, არსებული ტერიტორიის რეაბილიტაციას, კეთილმოწყობასა და საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მუნიციპალური ტექნიკის უსაფრთხო განთავსების, მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესებას, ტექნიკური რესურსების ეფექტიან მართვასა და მუნიციპალური სერვისების ხარისხის ამაღლებას.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება მუნიციპალური სამსახურების მუშაობის ორგანიზება და უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობისთვის საჭირო კომუნალური და კეთილმოწყობითი მომსახურების უფრო დროული, უწყვეტი და ეფექტიანი მიწოდება.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები

მოწყობილი საქმიანი ეზო	ტექ.დოკუმენტაციის მომზადება	ძირთადი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება	პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება	მცირე კეთილმოწყობის სამუშაოები	მცირე კეთილმოწყობის სამუშაოები	2%	სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვადების შეფერხების რისკი-

3. განათლება 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

(ათასი ლარი)

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
04 00	განათლება	**6,790.5**	**0.0**	**6,790.5**	**6,895.4**	**7,005.4**	**7,145.4**
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	**5,955.0**	**0.0**	**5,955.0**	**5,955.0**	**5,955.0**	**5,955.0**
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	**470.4**	**0.0**	**470.4**	**470.4**	**470.4**	**470.4**
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	**345.1**	**0.0**	**345.1**	**450.0**	**560.0**	**700.0**
04 06	განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა	**20.0**	**0.0**	**20.0**	**20.0**	**20.0**	**20.0**

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (04 01)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება**
პროგრამის აღწერა და მიზანი	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება აერთიანებს 23 ბაგა-ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1100 ბავშვი (გოგო 635, ბიჭი 465). ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სტანდარტების შესაბამისი

	სააღმზრდელო პროგრამის დახვეწა. სკოლამდელი გაერთიანება მოწოდებულია და მის მიზანს შეადგენს მოამზადოს ბავშვი ფიზიკურად. ჩამოაყალიბოს მორალურად და ინტელექტუალურად. სკოლამდელი აღზრდა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც. თემატური პროექტების, სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებების ჩატარების ხარისხზე მუშაობა. (საქმიანი ცხოვრებისათვის პირველი ნაბიჯების გადადგმა - თამაშის ადგილს სწავლა იკავებს). სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჩართვა სასწავლო პროცესში. (შემცირდება სოციალურ დახმარებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები).
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი განათლების სასწავლო პროცესი ზოგადი განათლების მიზნებზეა ორიენტირებული, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივად განვითარებს და ამზადებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის გამოწვევებისათვის. გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო. გაუმჯობესებული კვების რაციონი.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
გაუმჯობესებული კვების რაციონი	სტანდარტის შესაბამისი კვებითი ღირებულების ნორმების დაცვა, NACCP-ის პროგრამის ეტაპობრივი დანერგვა	სტანდარტის შესაბამისი კვებითი ღირებულების ნორმების დაცვა, NACCP-ის პროგრამის ეტაპობრივი დანერგვა	სტანდარტის შესაბამისი კვებითი ღირებულების ნორმების დაცვა, NACCP-ის პროგრამის ეტაპობრივი დანერგვა	სტანდარტის შესაბამისი კვებითი ღირებულების ნორმების დაცვა, NACCP-ის პროგრამის ეტაპობრივი დანერგვა	სტანდარტის შესაბამისი კვებითი ღირებულების ნორმების დაცვა, NACCP-ის პროგრამის ეტაპობრივი დანერგვა		
გაუმჯობესებული და უსაფრთხო გარემო	სტანდარტებს შეფარდებული სააღმზრდელო გარემო	სტანდარტებს შეფარდებული სააღმზრდელო გარემო	სტანდარტებს შეფარდებული სააღმზრდელო გარემო	სტანდარტებს შეფარდებული სააღმზრდელო გარემო	სტანდარტებს შეფარდებული სააღმზრდელო გარემო		

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (04 03)

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი**
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ა(ა)იპირს, რომელიც 25 დასახელების სხვადასხვა წრეში აერთიანებს 500-მდე მოსწავლეს, მ.შ: გოგონა - 300; ვაჟი - 200. ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებას და მორგებულია მოზარდთა გამოწვევებსა და ინტერესებზე. დასაქმებულია 59 სხვადასხვა სპეციალობის მუშაკი. მ.შ: ქალი - 46; მამაკაცი - 13. ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. არაფორმალური დამატებითი სწავლების ორგანიზებას. ხარისხიანი განათლების მიცემას თავისი ბენეფიციალებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის პოტენციალის განვითარებას. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტებში ჩართვას, რათა შეეძლოთ პროექტების მართვა, ღონისძიებების მენეჯმენტისთვის აუცილებელი უნარების განვითარება. საქმიანი კავშირების გაფართოება. საჯარო სკოლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან თავისუფალი დროის სწორი დაგეგმარება. ასევე ახორციელებს და აფინანსებს სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში შემოქმედებითი ჯგუფების

	საანგარიშო შემაჯამებელ შიდა ღონისძიებებს.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება, განვითარება. კრაეტიულობის, საკუთარი თავის,მშობლიური კუთხის ისტორიის და კულტურის წარმოჩენის და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა	მოსწავლე 400 მ.შ. წახალისებული სხვადასხ ვა დიპლომებითა სიგელებით 150 მოსწ. (სხვადასხვა შემოქმედ. წრეებიდან)	მოსწავლე 500	მოსწავლე 560	მოსწავლე 600	მოსწავლე 680	1-2%	არამომართვიანობა
ფუნქციონირებადი წრეების რაოდენობა	24 წრე	25 წრე	25 წრე	25 წრე	25 წრე	1-2	არამომართვიანობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაცია (04 04)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების) ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი დაწესებულებების მშენებლობასა და არსებული შენობების რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, შიდა და გარე სივრცეების კეთილმოწყობა, საინჟინრო კომუნიკაციების მოწესრიგება, გათბობის, წყალმომარაგებისა და სანიტარიული სისტემების გაუმჯობესება, ასევე ბავშვებისთვის უსაფრთხო, კომფორტული და ასაკობრივ საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნისთვის აუცილებელი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შენობების უსაფრთხოების, ენერგოეფექტიანობის, ჰიგიენური ნორმებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობას. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უსაფრთხო და ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა. ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობისა და არსებული ბაღების რეაბილიტაციის გზით სკოლამდელი განათლების მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, ბავშვების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, სააღმზრდელო პროცესისთვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული პირობების უზრუნველყოფა.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილი იქნება უფრო ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ხარისხიანი სკოლამდელი სააღმზრდელო მომსახურება.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**

კეთილმოწყობილი საბავშვო-ბაღების რაოდენობა	2	2	2	2	2	1	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ხელშეკ-რულებით გათვალის-წინებული პირობების შეუს-რულებლობა

განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა (04 06)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სტიპენდიის გაცემას სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პროფესიული კოლეჯის წარმატებული სტუდენტებია. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების გაცნობას და კოლეჯში ადგილზე ვიზიტის გზით გაცნობიერებული კარიერის არჩევის ხელშეწყობას, მათ დაინტერესებას პრაქტიკული ხელობით.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	1. სამტრედიის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისათვის, კოლეჯის სტუდენტებისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება. 2. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
განხორციელებული პროექტების რაოდენობა;	პროგრამის დანერგვა	2	2	2	2	1	დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი
პროექტებში მონაწილეთარაოდენობა	14	24	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება	3	მომართვა არ დაფიქსირდა

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

ორგ. კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7,376.6	0.0	7,376.6	7,289.5	7,040.8	6,942.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,058.6	0.0	4,058.6	4,166.2	3,916.2	3,816.2
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	1,389.4	0.0	1,389.4	1,497.0	1,247.0	1,147.0
05 01 02	სპორტული სკოლები	2,669.2	0.0	2,669.2	2,669.2	2,669.2	2,669.2
05 01 02 01	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	205.9	0.0	205.9	205.9	205.9	205.9
05 01 02 02	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	462.8	0.0	462.8	462.8	462.8	462.8
05 01 02 03	აიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	160.0	0.0	160.0	160.0	160.0	160.0
05 01 02 04	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	271.0	0.0	271.0	271.0	271.0	271.0
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	903.5	0.0	903.5	903.5	903.5	903.5
05 01 02 06	აიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"	234.0	0.0	234.0	234.0	234.0	234.0
05 01 02 07	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	432.0	0.0	432.0	432.0	432.0	432.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2,188.4	0.0	2,188.4	2,179.2	2,179.2	2,179.2
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	1,169.7	0.0	1,169.7	1,160.5	1,160.5	1,160.5
05 02 01 01	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა	322.9	0.0	322.9	322.9	322.9	322.9
05 02 01 02	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	163.2	0.0	163.2	163.2	163.2	163.2
05 02 01	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა	105.5	0.0	105.5	105.5	105.5	105.5

03							
05 02 01 04	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	150.2	0.0	150.2	150.2	150.2	150.2
05 02 01 05	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	155.5	0.0	155.5	155.5	155.5	155.5
05 02 01 06	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	130.2	0.0	130.2	130.2	130.2	130.2
05 02 01 07	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	142.2	0.0	142.2	133.0	133.0	133.0
05 02 02	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	820.0	0.0	820.0	820.0	820.0	820.0
05 02 04	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	198.7	0.0	198.7	198.7	198.7	198.7
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	134.2	0.0	134.2	134.2	134.2	134.2
05 04	აიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	83.0	0.0	83.0	83.0	83.0	83.0
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება,	269.4	0.0	269.4	266.9	268.2	269.4
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	45.0	0.0	45.0	45.0	45.0	45.0
05 05 02	კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	224.4	0.0	224.4	221.9	223.2	224.4
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	260.0	0.0	260.0	260.0	260.0	260.0
05 07	კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია	383.0	0.0	383.0	200.0	200.0	200.0

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია (05 01 01)	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური; სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვდასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრმის ფარგლებში ხორციელდება: სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი

	ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. 2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში. სამტრედიის რაიონში, როგორც ჰიპერმალარიული ზონა, ტარდება კოღოს საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები, ხდება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დამუშავება პესტიციდებით, კერძოდ სოლფაკით. აღნიშნული სივრცეების დამუშავება მიმდინარეობს ორ ეტაპად: მაისი -ივნისის და ივლისი-აგვისტოს თვეებში.მუშავდება 120000 მ2 ფართობი. 3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების (სალონები) აღრიცხვა-პასპორტიზაცია, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობის მონიტორინგი, ანალიზი და რეკომენდაციების გაცემა. 4. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოფროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოფროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოფროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება დაზუსტება, ვაქცინათა და სხვა სახარჯი მასალების მიღება და გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით. 5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არა გადამდები დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებების გატარება. სამედიცინო დაწესებულებებში, მონიტორინგების განხორციელება, წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული აქტის საფუძველზე. შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებებზე, ასევე სხვა ეპიდ საშიშროებისას თუ მოკლევევას დაქვემდებარებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, ოპერატიული მოქმედების დაორგანიზება შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციით და მოკლევევის შედეგების სრულყოფილი რეგისტრაცია დაავადებათა ზედამხედველობის ინტეგრირებული პროგრამაში (EIDSS). 6. „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება; ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა კონტაქტების კვლევის განხორციელება. სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან განთავისუფლებულ ტუბერკულოზის მკურნალობაზე მყოფ პირთა ზედამხედველობა მკურნალობის გაგრძელებაზე. რუტინულად ხორციელდება დზეიშში, დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში ტუბერკულოზის შემთხვევათა შეყვანა. ხდება ფილტვგარეშე ტუბერკულოზის კონტაქტები კვლევა, და ასევე ხორციელდება ღონისძიებები ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საერთასორისო დღესთან დაკავშირებით. 7. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული სერვისების განხორციელების ხელშეწყობა: დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკნინგ პროგრამების მართვა. მოსახლეობის ორგანიზებული სკრინინგის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა. C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით გამოვლენილი დადებითი შედეგების მქონე პირთა მიდევნებას და ზედამხედველობას; კოღოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებით და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული და ვირუსული (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) დაავადებებისა და ალიმენტური პარაზიტული (ჰელმინთოზები) ინფექციების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესებას; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება. უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრაამის განხორციელების ხელშეწყობა. მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პრევენციული ჯანდაცვითი ღონისძიებების გზით; ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, გეგმიური იმუნიზაციისა და სპეციფიკური სახელმწიფო პროგრამების ეფექტური მხარდაჭერა; საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მონიტორინგი და ტრანსმისიული (მალარია) თუ სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკების მინიმიზაცია.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	1) „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკების მინიმიზაცია და ეპიდემიოლოგიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება.“ 2) „გეგმიური და პოსტექსპოზიციური (ანტირაბიული) იმუნიზაციის პროგრამებით მიზნობრივი პოპულაციის მაქსიმალური მოცვა და იმუნური ფენის შექმნა.“ 3) „სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის, ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პრევენციული ჯანდაცვის საკითხებში.“

შეფასების ინდიკატორები							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
„გეგმიური იმუნიზაციით მოცული ბავშვების წილი (%) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით“.	80%	85%	90%	95%	96%	5% სამედიცინო უკუჩვენებისა და მშობელთა მხრიდან უარის ალბათობა.	ანტივაქსერული კამპანიები და მოსახლეობის დაბალი ცნობიერება
„დროულად შეტყობინებული და სრულად გამოკვლეული ეპიდემიოლოგიურად სათუო შემთხვევების წილი “	85%	90%	92%	95%	96%	3-5% შემთხვევების დაგვიანებით შეტყობინება	ახალი, უცნობი ინფექციების გავრცელება (ფორსმაჟორი)
„ანტირაბიული სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირთა (ცხოველისგან დაკბენილი/დაკაწრული) ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელი “.	95%	100%	100%	100%	100%	1-2% პაციენტის მხრიდან ვაქცინაციის კურსის თვითნებურად შეწყვეტა	მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მკვეთრი ზრდა
„მალარიის საპრევენციო დეზინსექციური სამუშაოებით (პრეპარატ სოლფაკით) დამუშავებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის მოცულობა (კვ.მ/წელიწადში)“	120000 კვ.მ	120000 კვ.მ	120000 კვ.მ	120000 კვ.მ	120000 კვ.მ	5% ამინდის არახელსაყრელი პირობები	მოსახლეობის მხრიდან სამუშაოს ჩატარებაზე უარის თქმა
„სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებზე მონიტორინგით მოცული საგანმანათლებლო (სკოლები, ბაღები) და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების (სალონები) ობიექტების წილი (%)“.	85%	90%	92%	95%	100%	3-5% ახალგასხსინი სალონების იდინტიფიცირების სირთულე ან ობიექტის დროებითი ფუნქციონირების შეწყვეტა	ობიექტის მესაკუთრის/ადმინისტრატორის მხრიდან არათანამშრომლობა
„ტუბერკულოზზე დადებითი (დადასტურებული) შემთხვევების მქონე იმ ბენეფიციართა წილი (%), რომელთაც სრულად ჩაუტარდათ მკურნალობის კურსის მიდევნება/მონიტორინგი“.	95%	100%	100%	100%	100%	2-3 % პაციენტის მიგრაცია ან თვითნებური უარი მკურნალობაზე	პაციენტის მხრიდან არათანამშრომლობა
„C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევებით (სწრაფი ტესტებით) მოცული მოსახლეობის რაოდენობა ან წილი მიზნობრივი პოპულაციიდან და გამოვლენილი დადებითი პირების მკურნალობაში	1601	2500	3000	4000	5000	3-5% სკრინინგით გამოვლენილი დადებითი პირების მხრიდან, კომფირმაციულ კვლევაზე	მოსახლეობის მხრიდან დაბალი აქტივობა

ჩართვის მაჩვენებელი						გამოუცხადებლობა.	

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა (06 01 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.**
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა.
პროგრამის მიზანი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს არ გააჩნია საკუთარი შენობა, რის გამოც წლების განმავლობაში სხვადასხვა არასტანდარტულ შენობებში ფუნქციონირებს. რომლებიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, ახლის მშენებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს ექნება თანამედროვე სტანდარტების და აღჭურვილობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სადაც ადგ. მოქალაქეები დროულად შეძლებენ საჭირო მაღალხარისხიან სერვისების მიღებას
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი ჯანდაცვის კერის შექმნა და იერსახის გაუმჯობესება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდი-კატორის დადას-ტურების საშუალება	საბაზისო 2026 წელი	მიზნო-ბრივი 2027 წელი	მიზნო-ბრივი 2028 წელი	მიზნო-ბრივი 2029 წელი	მიზნო-ბრივი 2030 წელი	ცდომი-ლების ალბა-თობა	შესაძლო რისკები
1	აშენებული ჯანდაცვის დაწესებულებების რაოდენობა	მიღება-ჩაბარების აქტი	0	1	0	0	0	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, მომწოდებლის არაკეთილ-სინდისიერი დამოკიდე-ბულება, ხელშეკ-რულებით გათვალის-წინებული პირობების შეუს-რულებლობა

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფას უფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური პროგრამები (06 02)	
პროგრამის განმახორციელებელი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამსახური

პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზემცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება, კანონმდებლობით გთვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარება, დემოგრაფიული მომსახურების მიზნით მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას
პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	**ინდიკატორის მაჩვენებლები**						
	საბაზისო 2026 წელი	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	4509	5000	5500	6000	6500		

ა(ა)იპ სახლი "თანადგომა" (06 02 01)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ სახლი "თანადგომა"**
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური ცვლილების ფონზე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვისდახმარების გაწევა.ა.ა.ი.პ სახლი თანადგომისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები დავრდომილი, ინვალიდები, უსახლკარონი. ის პირები,რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიური შესაძლებლობა იმისათვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვისყოველდღიურად (გარდა კვირისა) ხდება სადილით უზრუნველყოფაუმწეოთა სასადილოში.ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა2.3 პური კვირაში ერთხელ, პური გაიცემა სულადობის მიხედვით.თუ ოჯახი სამი სულისაგან შედგება მათ მიეწოდებათ2ცალი პური,ხოლო სამი და მეტი სულისაგან შემდგარ ოჯახს 3 ცალი პური. ამ პროგრამის ამოქმედებითსამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით, რომლებსაც არ ექნებათ იმის საშიშროება თუ როგორ დააღწიონ თავი შიმშილობასყოველდღიური სადილიტ, კვირაში ერთხელ პურის მიწოდებით პენსიებითა და სოციალური დახმარებით. ისინიუზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო მინიმუმით.ამ პროგრამაშიჩართული იქნება სოციალური მუშაკები,რომლებიც ბინაზე მოემსახურებიან დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებს.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	კვების უზრუნველყოფა მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, რომლებიც მიეკუთნებიან უმწეოთა კატეგორიას.სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის შემსუბუქება კმაყოფილი მოსახლეობა (ბენეფიციარები)

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	**საბა-ზისო 2026 წელი**	**მიზნობ-რივი 2027 წელი**	**მიზნობ-რივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**

ღონისძიებების რაოდენობა	5	5	5	5	5	1	
ბენეფიციართა რაოდენობა	678	678	678	678	678	4%	

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი " (06 02 02)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი "**
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში. სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. ყოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მობინადრეთა ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით. სათნოების სახლის მობინადრეები შემოწირულობას იღებენ საკვები პროდუქტების სახით.
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართა გაუმჯობესებული მდგომარეობა.

შეფასების ინდიკატორები							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	**საბა-ზისო 2026 წელი**	**მიზნო-ბრივი 2027 წელი**	**მიზნო-ბრივი 2028 წელი**	**მიზნო-ბრივი 2029 წელი**	**მიზნო-ბრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
ბენეფიციართა ყოველდღიური უზრუნველყოფა საჭიროებისამებრ	**14**	**19**	**20**	**20**	**20**	2	არამომართვიანობა

დედათა და ბავშვთა დახმარება (06 02 03)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	**1. ახალშობილთა ოჯახების დახმარება** სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, 2027 წლის 1 იანვრის შემდეგ შვილის შეძენის შემთხვევაში მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. 2027 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ახალშობილებზე დაფინანსება ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გაიცემა იმ ახალშობილის მშობლებზე, რომლებიც, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, რეგისტრირებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ხოლო ერთი მშობელი მაინც რეგისტრირებული იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრამდე და ამ თარიღიდან უწყვეტად ინარჩუნებს რეგისტრაციას ახალშობილის დაბადებამდე. ასევე ოჯახი ფაქტობრივად უნდა ცხოვრობდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში. **2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება** პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილისათვის). ოთხი შვილის შემთხვევაში, თუ ერთ-ერთის შეუსრულდება 18 წელი, დანარჩენ სამს გაუგრძელდება დახმარების მიცემა, სანამ მომდევნო წევრს არ შეუსრულდება 18 წელი.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება

შეფასების ინდიკატორები							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	საბაზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	450	450	550	550	550		არამომართვიანობა

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (06 02 04)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	✓ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება 1. ოპერაცია, ქიმიოთერაპია, ქირურგიული/კონსერვატიული მკურნალობა, რეაბილიტაცია, ქცევითი თერაპია და სხვა: ა) სოც. ბაზაში რეგისტრირებული (ქულა ≤ 100 000), შშმპ, ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, მარტოხელა პირი (პირი, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი): 1.00-დან 500 ლარის ჩათვლით — 100%-ით, 500-1000 ლარის ჩათვლით — 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ — 600 ლარით; ბ) სოც. ბაზაში რეგისტრირებული (ქულა 100 000-დან 200 000-ის ჩათვლით): 1.00-დან 1000 ლარის ჩათვლით — 90% (არაუმეტეს 500 ლარით), 1000 ლარის ზემოთ — 600 ლარით; გ) მოქალაქეები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი აღნიშნულ ბაზაში და მერის წარმომადგენლის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში შუამდგომლობის საფუძველზე დასტურდება მათი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა: 100-დან 1000 ლარის ჩათვლით — 80% (არაუმეტეს 500 ლარი), 1000 ლარის ზემოთ — 600 ლარით. 2. სამედიცინო გამოკვლევები, დიაგნოსტიკა, კომპიუტერული, მაგნიტურ-რეზონანსული და PET კვლევა: ა) სოც. ბაზაში რეგისტრირებული (ქულა ≤ 100 000), შშმპ, ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, მარტოხელა პირი (პირი, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი): 1.00-დან 800 ლარის ჩათვლით — მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ — 400 ლარით; ბ) სოც. ბაზაში რეგისტრირებული (ქულა 100 000-დან 200 000-ის ჩათვლით): 1.00-დან 800 ლარის ჩათვლით — 90% (მაქსიმუმ 300 ლარით), 800 ლარის ზემოთ — 400 ლარით; გ) მოქალაქეები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი აღნიშნულ ბაზაში და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე დასტურდება მათი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა: 100-დან 800 ლარის ჩათვლით — 80% (მაქსიმუმ 300 ლარით), 800 ლარის ზემოთ — 400 ლარით; დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევა დაფინანსდება 600 ლარით. ✓ მარტოხელა მშობლების დახმარება. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს) ✓ სტუდენტების დახმარება 1. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს 1 000 (ათასი) ლარით გაეწევათ დახმარება ერთჯერადად: ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან; ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილიანი) ოჯახებიდან;

	გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დაფინანსება. 2. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთაც აქვთ იშვიათი (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) დაავადებები და სისტემატურად საჭიროებენ მკურნალობას, ასევე „ავთვისებიანი სიმსივნეები რომლებიც ვლინდება ახალგაზრდა ასაკში“ და ხანგრძლივად საჭიროებენ ექიმის მეთვალყურეობას, ყოველთვიურად გაეწევათ 400 ლარიანი დახმარება: ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან; ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილიანი) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან; გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; დ) მარტოხელა მშობლების შვილები. ✓ **უდედმამობავშვების დახმარება** 1. მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი: 2. უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, ყოველ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. ✓ **ხანდაზმულთა დახმარება** ერთჯერად, 2 000 (ორიათასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი. ✓ **საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;** 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300-ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები: ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები; ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები. 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა. ✓ **ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;** ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური 300 ლარიანი დახმარება 26 აპრილს ✓ **დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;** ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების დახმარებას თითოეულისათვის 200 ლარი ყოველთვიურად. ✓ **ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დიაბეტით, დაუნის სინდრომის და დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება.** 1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით. 2. ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) ფინანსური დახმარება ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით. 3. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება ითვალისწინებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით. 4. დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება ითვალისწინებს

დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით.
5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) (18 წლამდე) დაავადებების ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.
6. ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება. ყოველთვიური დახმარება 100-100 ლარი მიეცემათ 18 წლამდე ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვებს
7. დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება. ყოველთვიური დახმარება 300-300 ლარი მიეცემათ 18 წლამდე დიუშენის კუნთოვანი დისტროფიით დაავადებულ ბავშვებს,
8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვების დახმარება. სსსმ ბავშვები, რომლების სხვა პროგრამით (სახელწიფო ან მუნიციპალური) არ ფინანსდებიან. ყოველთვიურად დაფინანსდებიან 150-150 ლარით
9. ბენეფიციარები საახალწლოდ მიიღებენ ერთჯერად დახმარებას 300-300 ლარს''

- ✓ **2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;**

პროგრამა ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას 2 000 ლარით.

- ✓ **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;**

შშმ პირების ფინანსური დახმარება
1. ყოველთვიური ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხედველობა და სმენა დაქვეითებულ მოქალაქეებს 100-100 ლარის ოდენობით.
2. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი განვითარების შეფერხება და დემენციადაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით-150 ლარის ოდენობით.
3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ქრონიკული ან დროებითი ფსიქიკური დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით.
4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით.
5. ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით.
6. ონკოლოგიური სენით (III და IV სტადია) დაავადებული მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 200 ლარით.
7. ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება. ერთჯერადი დახმარება 300 ლარი მიეცემათ ფსორიოზით დაავადებულ პირებს.
8. პარკინსონით დაავადებულ პირთა დახმარება. ერთჯერადი დახმარება300 ლარი მიეცემათ პარკინსონით დაავადებულ პირებს,
9. თუ ბენეფიციარს დახმარების მიღების უფლება აქვს ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ერთდროულად ერთზე მეტი საფუძვლით, დახმარება მიეცემა მხოლოდ ერთი საფუძვლით, მათ შორის მაქსიმალური თანხის უპირატესობით.

- ✓ **ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;**

ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში
1. მოქალაქეები, რომლებიც არიან მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, ქრონიკული ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარების შესაბამისად:
ა) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა კაპიტალური საცხოვრებელი სახლი მთლიანად და საყოფაცხოვრებო ნივთები, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით;

ბ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართული, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 8 000 ლარის ოდენობით;
გ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული და საყოფაცხოვრებო ნივთებით, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 6 000 ლარის ოდენობით;
დ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 4 000 ლარის ოდენობით;
ე) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) საყოფაცხოვრებო ნივთებით, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 4 000 ლარის ოდენობით;
ვ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა დამხმარე ნაგებობა, სადაც ცხოვრობს დღის განმავლობაში, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 2 000 ლარის ოდენობით;
ზ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა დამხმარე ნაგებობა, სადაც არ ცხოვრობს, გაეწევა დახმარება არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით.
3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრებ ოჯახებს, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს... (100-დან 1000 ლარის ჩათვლით: „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ტერმინი „მარტოხელა“ შეიცვალა ტერმინით „მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი“, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია სიტყვები „ენგრევათ საცხოვრებელი სახლი“).
4. მცირეწლოვანი ბავშვები და სრულწლოვანი პირები, რომლებიც მკურნალობენ საზღვარგარეთ, მათ შორის, ონკოლოგიური დაავადებებით – ლიმფომა, გლიომა, ლეიკემია, მელანომა; თავის ქალის პროგრესირებადი დეფორმაცია; ქვედა კიდურების ატროფია; სქოლიოზი – გამოხატული ნეკნოვანი კუზით; ავარიის შედეგად მიღებული ტრამვების რეაბილიტაცია; შვილოსნობასთან შეუთავსებელი დარღვევები – დაავადებები, ქალისა და მამაკაცის დაქვეითებული ფერტილობა, რომლებიც საჭიროებენ გინეკოლოგიურ ან რეპროდუქტოლოგიურ მკურნალობას, ატოპიური დერმატიტი, ალერგია, სხვა მძიმე დაავადებები- გაეწევათ გარკვეული თანხით დახმარება, არა უმეტეს 5 000 ლარისა. მოქალაქემ მკურნალობის შემდეგ, უნდა წარმოადგინოს მერიის მიერ ჩარიცხული თანხის გამოყენების ანგარიში. სავალდებულოა ბენეფიციარი რეგისტრირებული იყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდეს 200000-ს ან უნდა წარმოადგინოს მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული შუამდგომლობა მოქალაქის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

✓ **სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება**

ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველ, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000 მდე.

✓ **წითელი ჯვრის თანადაფინანსება**

1. კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება) გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური რეაგირებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/სწავლებას, სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.

2. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ითვალისწინებს მობილური პირველადი ჯანდაცვის კაბინეტების მეშვეობით უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებსა (მუცლის ღრუსა და სხვა შინაგანი ორგანოების ექოსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა) და ექიმი-თერაპევტის, გინეკოლოგისა თუ ოფთალმოლოგის კონსულტაციას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებით მდებარე დასახლებებსა და თემებში. ასევე სისხლის უანგარო, ნებაყოფლობითი დონაციის პროპაგანდის მეშვეობით სისხლის დონორების მობილიზებას და ქვეყანაში არსებული სისხლის მარაგის შევსებას, იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტურ დაცვას მართვადი დაავადებებისაგან, საგანგებო სიტუაციებისთვის, მათ შორის პანდემიებისთვის მზადყოფნას, ეპიდემიური კონტროლის, წყლის ჰიგიენისა და სანიტარიის, მასობრივი საგანგებო სიტუაციებიის მართვის, პირველი დახმარებისა და ფსიქოლოგიური პირველი დახმარების შესახებ ცოდნის ამაღლების და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თემის დონეზე საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების გაუმჯობესებას;

3. სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში ,,ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრის“ ბაზაზე არის შექმნილი სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა უნარ-ჩვევების განვითარება (თემატური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.), სერვისების მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, შინმოვლა, საოჯახო საქმეებში დახმარება, რეცხვა და ა.შ.) და ადვოკატირება (სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, კონსულტაცია და ინფორმირება). ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ღირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

4. ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, მათში ჰუმანიტარული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათ მობილიზებას და აქტიურ მონაწილეობას მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო თემებში. ახალგაზრდებს ეძლევათ არაფორმალური განათლების და სხვადასხვა ცხოვრებისული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება, რაც ხელს უწყობს მათ თვითრეალიზებას და უშუალო მონაწილეობას თემის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის გავნვითარებაში. ახალგაზრდებისთვის ასევე ხელმისაწვდომი ხდება ჩაერთონ თანასწორთა განათლების პროცესში და დაეხმარონ თანატოლებს გახდენ უფრო მოტივირებულები, აქტიურები და გაიუმჯობესონ მათთვის საჭირო შესაბამისი უნარ-ჩვევები.

- ✓ **18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.**

პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის (დღის ცენტრის) ხელშეწყობას, კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებასა და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსებას. 2027 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩაირიცხება მათ ანგარიშზე თანხა თვეში არაუმეტეს 1 050 ლარისა.

- ✓ **სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი .**

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში მოხდება მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.
2. თუ მრავალსართულიან სახლზე გაცემულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული ორგანოს დასკვნა არამდგრადობის შესახებ, ასეთ მრავალსართულიან სახლში მაცხოვრებლებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრისი, ბინის ქირის მოცულობა განისაზღვროს 100 - 500 ლარით.

- ✓ **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარება.**

პროგრამა ითვალისწინებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ქალაქ სამტრედიაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2-18 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0-F84.9) ყოველთვიურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით და საახალწლოდ ერთჯერადად 300-300 ლარით დახმარებას.

- ✓ **მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება**

1. ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა, რომლებიც მოქმედებს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, გაეწევათ დახმარება 200 ლარის ოდენობით.

2. ქალთა და მამაკაცთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში, ოჯახის წევრებს შორის გამოვლენილი ძალადობის დროს, გაეწევათ დახმარება 200 ლარის ოდენობით.

3. უკიდურესად სიღარიბეში ყოფნის შემთხვევაში, ოჯახის წევრების უუნარობის, საკვების, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების უქონლობის, უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნისა და ხანდაზმულთა (თანადგომის ქსელის არ ყოლა) დახმარების მიზნით, დამხარება

	გაეწევათ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით. ✓ **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა.** 1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოსული განცხადებების განხილვა. ბავშვისა და ოჯახის შეფასება. ბავშვის/ბავშვების საჭიროების დადგენა. გრძელვადიანი ან მოკლევადიანი გეგმის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში შემთხვევის გადამისამარება შესაბამის უწყებაში, დამხმარე სერვისებში პრობლემის აღმოფხვრისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაზე მუშაობა. სამიზნე ჯგუფი: ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომელთაც დაუდგათ მძიმე კრიზისული მდგომარეობა ან საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში, შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე. დახმარება გაიცემა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით. 2. ჩართვის კრიტერიუმები: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები; ბ) მშობლის /მშობლების /მეურვის/მარჩენალის გარდაცვალება; გ) ოჯახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა (მშობელმა/მშობლებმა დაკარგეს სამსახური); დ) ბავშვის /ბავშვების/ მშობლის/მშობლების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება; ე) ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და ოჯახი აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე; ვ) სტიქია (საცხოვრებლის დაკარგვა და არ აქვს ალტერნატიული ფართი); ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან; თ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან; ი) ძალადობის მსხვერპლი მშობელი; კ) მარტოხელა მშობელი. ✓ **მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა** მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა ✓ **უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება** უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ მოხდება ერთჯერადად 300 ოჯახზე, 100-100 ლარის დარიცხვა ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე. ✓ **მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;** ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: ა) მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი; ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება; გ) მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

შეფასების ინდიკატორები

შუალედური შედეგი (OUTPUT)	**საბაზისო 2026 წელი**	**მიზნობრივი 2027 წელი**	**მიზნობრივი 2028 წელი**	**მიზნობრივი 2029 წელი**	**მიზნობრივი 2030 წელი**	**ცდომილების ალბათობა**	**შესაძლო რისკები**
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5500	6000	6000	6000	6000		

დაკრძალვის ხარჯი (06 02 05)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.
პროგრამის მიზანი	გარდაცვლილ ვეტერანთა პატივგება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის დახმარება (06 02 07)	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა	1. პროგრამა მიზნად ისახავს უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზებულია და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენს და არ ექვემდებარება აღდგენას/რეაბილიტაციას ან შესაძლებელია რეაბილიტაცია, ან ოჯახს არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი. აღნიშნულის გათვალისწინებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა ქვეპროგრამა „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“. ქვეპროგრამის მიზანია ამ ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, სოციალური რისკების შემცირება და მათი სოციალური ფუნქციონირების ამაღლება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროექტი“, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი, საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფს ახალი საცხოვრებელი სახლის აშენებას ან არსებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას. 2. მესაკუთრე ვალდებულია 10 წლის განმავლობაში არ განკარგოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აშენებული მცირე ფართიანი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განხორციელდა სახლის მშენებლობა, რაზედაც პროექტის განხორციელების დაწყებამდე გაფორმდება ურთიერთშეთანხმების აქტი.
პროგრამის შედეგი	მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	საბა-ზისო 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	მიზნობრივი 2028 წელი	მიზნობრივი 2029 წელი	მიზნობრივი 2030 წელი	ცდომი-ლების ალბა-თობა	შესაძლო რისკები
მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	7	8	8	8	8		

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები	7,988.0	0.0	7,988.0	7,917.2	8,449.5	8,831.3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,713.8	0.0	7,713.8	7,638.2	8,165.5	8,543.3
01 01 01	სამტრედიის საკრებულო	1,601.8	0.0	1,601.8	1,663.7	1,771.0	1,840.0
01 01 02	სამტრედიის მერია	6,112.0	0.0	6,112.0	5,974.5	6,394.5	6,703.3
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	274.2	0.0	274.2	279.0	284.0	288.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	220.0	0.0	220.0	200.0	200.0	200.0
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	54.2	0.0	54.2	59.0	64.0	68.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მერიისა და საკრებულოს მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა. ვალდებულებების მომსახურება.